სემინარის თემის დასახელება:

<u>სასრულობა და უსასრულობა არქიტექტურაში</u>

დოქტორანტი ***მარიამ მენაბდე***
*ხელმძღვანელი: სრული პროფესორი**ელენე კალანდაძე***
სტუ, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი
ქ.თბილისი, კოსტავას 72, +995 577-775-116
E-mail:archibiba@yahoo.com

სასრულობა და უსასრულობა არქიტექტურაში

თემის დასაწყისში მინდა განვიხილოთ ხელოვნებისათვის კარგად ცნობილი სიტყვა "კაპრიციო", რომელიც პირდაპირი თარგმანით თავისუფალ სტილს იმპროვიზაციას ნიშნავს, ან თუნდაც ახირებას. მხატვრობაში კი "კაპრიციო" არქიტექტურულ ფანტაზიას, შენობების ერთად შერწყმასა და სხვადასხვა ელემენტების გამოგონილ ან თუნდაც ფანტასტიკურ კომბინაციას ნიშნავს.
როგორც ავღნიშნეთ "კაპრიციო" არის ერთმანეთისაგან აბსოლიტურად განსხვავებული ფიგურების კომბინაცია. სწორედ ეს თემა "კაპრიციო" მინდა განვიხილო და მცირე კვლევა ჩავატარო არქიტექტურაში.რა მოხდება თუ ჩვენ ამ განმარტებას არქიტექტურას მოვარგებთ? ორ ერთმანეთისაგან აბსოლიტურად განსხვავებულ ფორმასა და იდეას ერთად გავაერთიანებთ? როგორ შეცვლიან ერთმანეთს? ან რა მოხდება თუ ჩვენ ერთ იდეას სხვა ადგიზე მოვარგებთ?
ზემოთ მოხსენებული იდეის შესაბამისად გადავწყვიტე საკუთარი "კაპრიციო"
შემომეთავაებინა არქიტექტურაში და პასუხი გამეცა ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებზე.
ავარჩიე ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ორი შენობა:

- ფრენკ ლოიდ რაიტის გუგენჰაიმის მუზეუმი
- პიკასოს მუზეუმი ბარსელონაში.

ორი განსხვავებული არქიტექტურული იერსახე , ადგილმდებარეობა და განსხვავებული პერიოდი.

გუგენჰეიმის მუზეუმი მნახველთა გაოცებასა და აღფრთოვანებას იწვევს. ის თითქოს ესაუბრება მნახველებს და მათთან უშუალო კონტაქტს ამყარებს. სპირალისებრი ფორმა, რომელიც გამოტანილია ფასადზე იზიდავს მაყურებელს.
პიკასოს მუზეუმი კი შესდგება ხუთი ძველი შენობისაგან. ყოველი შენობა ერთიმეორეს საოცრან წააგავს. არც ერთი არ გამოირჩევა რაიმე განსაკუთრებული სტილითა თუ იერსახით.არც მთავარი შესასვლელი აქვს განსაკუთრებული მხოლოდ მიმავალი ხალხის რაოდენობით და მიმართულებით თუ მიხვდები მუზეუმში შესასვლელ მთავარ კარს.მუზეუმს ფაქტობრივად არ აქვს ფასადი იგი მთლიანად მიმართულია შიგნით არსებულ მუზეუმზე თითქოს ცდილობს არ დაჩრდილოს თავისი არსი და ხელი არ შეუშალოს მნახველებს რომელთა ყურადღებაც მხოლოდ იქ წარმოდგენილი ნახატებითაა მიპყრობილი.
ყველაზე მნიშვნელოვან როლს კი ამ კომპლექსში შიდა ეზო წარმოადგენს, რომელიც ხუთივე შენობას აქვს რომელთაც საგამოფენო დარბაზები აკრავენ გარსს.ამ დარბაზებში კი სწორედ შიდა ეზოს საშვალებით თუ მოვხვდებით ფაქტობრივად ის ასრულებს შესასვლელის ფუნქციას.
იმის და მიუხედავად, რომ ეს ორი შენობა ერთმანეთისაგან აბსოლიტურად განსხვავდებიან, მათაც აქვთ მსგავსება, რამაც გამოიწვია ჩემი ინტერესი გამომეძია შემდგომი…
თუმცა ერთის მხრივ შეგვიძლია ამ ორი შენობის მსგავსებაც დავინახოთ: გუგენჰეიმის არაჩვეულებრივი ატრიუმისა და პიკასოს მუზეუმის შიდა ეზოებს შორის.

პიკასოს მუზეუმი
ბარსელონა

მუზეუმი მდებარეობს ბარსელონაში, ქალაქის ყველაზე ისტორიულ და ძველ უბანში. იგი შესდგება ხუთი დიდი შენობისაგან, რომლებიც 13-14 საუკუნეებს ეკუთვნის.(იხ.სურ.2) საერთო ფართი ამ ხუთი შენობისა გახლავთ 10,628 კვ.მ.ამ შენობებში კარგადაა გამოკვეთილი შუა საუკუნეების გოთიკური არქიტექტურა.მორთული ფასადი და რაც პირველ რიგში აღსანიშნავია შიდა ეზოები, რომლებიც აერთიანებენ შენობებსა და ერთიან კომპლექსად გარდაქმნიან.დღეს ეს ადგილი ყველაზე მნიშვნელოვან კულტურულ და არქიტექტურულ ნაწილს წარმოადგენს ქალაქისას.სწორედ პიკასოს მუზეუმის გახსნამ ხელი შეუწყო სხვა მუზეუმებისა და გალერეების განვითარებას და ამ ტერიტორიის კულტურულ მხარედ აღორძინებას.

ბარსელონა ტურისტული ქალაქია შესაბამისად ხალხმრავალი და ხმაურიანი. ხალხის მუდმივი მოძრაობა და ფუსფუსი უფრო მეტად ახალისებს და ალამაზებს უძველეს ქუჩებს და თითქოს მათი ნაწილიც კი ხდება.
როგორც ზემოთ ავღნიშნეთ მუზეუმის თითოეული შენობა საკმაოდ ჰგავს ერთმანეთს და არა მარტო მუზეუმის არამედ მის გვერდით არსებული შენობებიც. საკმაოდ რთულია გამოიცნო თუ რომელი კარია მუზეუმში შესასვლელი. მხოლოდ ერთი რამ მიგვინიშნებს შესასვლელისკენ და ეს ხალხის მიმავალი ნაკადია, რომელიც პიკასოს მუზეუმისაკენ მიემართება. თითოეულ შენობას თავის დასახელება აქვს და შევეცდები სათითაოდ განვმარტო ისინი და წარმოგიდგინოთ.

Paul agalar

კომპლექსის პირველი შენობას წარმოადგენს (იხ სურ3). მისი შიდა ეზო ყველასაგან გამორჩეულია. სადაც გვხვდება უზარმაზარი კიბეები, რომელსაც მეორე სართულზე ავყავართ. შუა საუკუნეების თაღები და ღიობები მნახველთა აღფრთოვანებას იწვევენ. შენობის ძირითადი ნაწილი მე-13 სკ-შია აშენებული აქ შერწყმულია რენესანსის ბაროკოსა და გოთიკის სტილები. იგი ყველაზე ძველი შენობაა მთელს ქუჩაზე.

Palau baro de castellet

ეს შენობაც შუა საუკუნეების არქიტექტურას მიეკუთვნება(იხ.სურ 4). იგი ცენტრალურ ეზოს ესაზღვრება და აქვს გამოკვეთილად განსხვავებული ფასადი. ინტერიერი კი მე-18 საუკუნის ნეო-კლასიციზმშია შესრულებული. მისი ეზო გაცილებით მცირეა ვიდრე სხვა შენობების და არც პარადული კიბე აქვს, რომელიც სხვა სართულებისაკენ იქცევს ყურადღებას.

Palao meca

ეს შენობა არაფრით არ განსხვავდება სხვა დანარჩენი შენობებისაგან (იხ.სურ 5). მას ისევე როგორც სხვებს აქვს შიდა ეზო. იგი შედარებით გვიანაა აშენებული მე-19 საუკუნეში. იგი ყველაზე დიდი შენობაა ამ კომპლექსში და მისი ეზო მუზეუმის მთავარ შესასვლელად გამოიყენება.

Palao finestres

ამ შენობაში ყველაზე უკეთ გახლავთ შემონახული შუა საუკუნეების სული და ხასიათი (იხ.სურ 6). მისი გამორჩეული გოთიკური ტიპის თაღები ფანჯრები და სახასიათო კიბე. ეს არის მე-13 საუკუნის ყველაზე გამომხატველი მაგალითი გოთიკური არქიტექტურისა.

Casa mauri

ეს შენობა გახლავთ ერთ ერთი შესანიშნავი შუა საუკუნეების შენობა, რომელიც გამორჩეულია ხის ფასადით.(იხ.სურ 7)

კომპლექსის მეორე სართული ქვედა ძირითად სართულთან კიბეებითა და ლიფტებითაა დაკავშირებული, რომლებზეც განუწყვეტელი მოძრაობაა რაც აცოცხლებს შენობას და შუა საუკუნეების სიმშვიდეს არღვევს.
ხუთივე სასახლის მეორე სართულზე გვხვდება დერეფანი, რომელიც ქმნის ერთიან გრძივ კავშირს შენობისას (იხ.სურ. 8.9).
შენობებს ორი ფასადი გააჩნია: ქუჩის მხარეს გამოსული და ფასადი, რომელიც ეზოს მხარეს იყურება. ფასადები ერთმანეთისაგან სრულებით განსხვავდებიან. წინა ფასადი მეტად წარმოსაჩენია და მორთული, ხოლო ფასადი რომელიც ეზოში იყურება მეტ სიმყუდროვეს და სისადავეს გამოხატავს.როგორც ზემოთ ავღნიშნეთ კომპლექსი შესრულებულია კლასიკურ შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელ სტილში.მასიური კედლებითა და პატარა ფანჯრებით.რეკონსტრუქციისას მას წინა ფასადი მაქსიმალურად იქნა შენარჩუნებული, ხოლო უკანა ფასადზე თამამი გადაწყვეტილებებია მიღებული.უფრო მეტად გახსნილია და სტრუქტურული ელემენტებია დამატებული.
შენობის ინტერიერი რადიკალურად განსხვავდება გარე ფასადისა და არქიტექტურისაგან (იხ.სურ. 10,11) . სუფთა ნათელი და თანამედროვე ინტერიერი. დიდი სივრცეები განათებულია ფართო ფანჯრებიდან შემოსული დღის შუქით. თანამედროვე ინტერიერში ზოგან შეგხვდებათ

ძველი კედლებიც, რომელიც სასიამოვნო კონტრასტს გვთავაზობენ თანამედროვეობასთან მიმართებაში.

სოლომონ გუგენჰეიმის მუზეუმი ნიუიორკში

მუზეუმი მდებარეობს ქალაქის ცენტრში და პირდაპირ ცენტრალურ პარკს ესაზღვრება. ცხადია, რომ მუზეუმი თავისი უნიკალური ფორმით რადიკალურად განსხვავდება გვერძე მდგომი შენობებისაგან (იხ.სურ. 12). ის თითქოს მონუმენტია. შენობა ფრენკ ლოიდ რაიტს ეკუთვნის. მას სპირალის ფორმა აქვს, რომელიც ცარიელ სივრცეზეა შემოხვეული. გარედან შენობა თეთრ ჰაეროვან ლენტს მოგვაგონებს, რომელიც თითქოს ცილინდრს არი შემოხვეული (იხ.სურ. 13).
ცილინდრი კი ბოლოში თითქოს ფართოვდება. თავდაპირველად არქიტექტორის ჩანაფიქრში მნახველი ლიფტის საშუალებით ჯერ ზემოთ უნდა ასულიყო რის შემდეგაც დახვეულ პანდუსზე ქვემოთ დაეშვებოდა და მიეცემოდა საშუალება მშვიდად დაეთვალიერებინა გამოფენილი ხელოვნების ნიმუშები.თუმცა დროთა განმავლობაში ეს ჩანაფიქრი შეიცვალა და მნახველები შემოსვლისთანავე პანდუსით ადიან მაღლა.
გუგენჰაიმის მუზეუმი თავისი ჩანაფიქრითა და იდეით შეგვიძლია ბაბილონის ტაძრის პირამიდას- ზიგურატს შევადაროთ. მთავარი დანიშნულება ზიგურატისა მოგეხსენებათ გახლდათ ღვთის დიდება და მსხვერპლთშეწირვა და მისი ფორმაც სწორედ ამ იდეას უსმევდა ხაზს. პირამიდა რომლის ფორმაც ცისკენ მიემართება. რაიტმა გუგენჰეიმის მუზეუმით თავდაღმა დააყენა ანტიკური ზიგურატი და ამის დანახვა ნათლად შეგვიძლია (სურ. 14-15)
გარდა ზიგურატისა ოდითგანვე გამოიყენებდნენ სამკუთხედის ფორმა ჰარმონიული კომპოზიციის შესაქმნელად. ისიც ცნობილია, რომ სამკუთხედში ჩაწერილი კომპიზიციები გამოირჩევა დახვეწილობითა და დასრულებულ იერსახეს ანიჭებს ნაწარმოებს. არა მარტო არქიტექტურაში არამედ მხატვრობაშიც.მაგალითად კი შეგვიძლია მოვიყვანოთ ლეონარდო დავინჩის “მადონა მღვიმეში”(იხ.სურ. 16) ,რომლის პერსონაჟებიც გეომეტრიულ სამკუთხედშია მოთავსებული, მიქელანჯელოს “პიეტა”(იხ.სურ. 17) და სხვა.

რაიტი თავისი ინოვაციური იდეით ზიგურატის ამობრუნებული ფორმით უპირისპირდება ცათამბრჯენების იდეას რომლებიც ცაში მიემართებიან და სიმაღლესთან ერთად მათი ფორმაც ვიწროვდება.
გუგენჰაიმის მუზეუმი განსხვავდება სხვა მუზეუმებისაგან. აქ არქიტექტორმა გამოიყენა მრავალი გეომეტრიული ფორმები, რომლებიც მის კონცეფციას "ორგანულ არქიტექტურას" სრულებით შეესაბამება. შენობის ცენტრში ხშირად ნახავთ გაშეშებულ მნახველებს, რომლებიც გაოცებულნი შესცქერიან უზარმაზარ ატრიუმს, რომელსაც ზეცაში მივყავართ უსასრულობისაკენ. ნებისმიერი რკალიდან ადამიანს შეუძლია თავისუფლად დაინახოს სად იყო, სად არის და საით აპირებს წასვლას. ეს შენობა თითქოს ერთგვარად დროში გვამოგზაურებს ერთ სივრცეში წარსულსა და მომავალს ერთდროულად აღვიქვამთ (იხ.სურ. 18).

სწორედ აქედან მინდა წარმოგიდგინოთ ცნება სასრული და უსასრულო არქიტექტურაში.
პიკასოს მუზეუმში მკაფიოდაა გამოხატული დასაწყისი და დასასრული. იგი იწყება მხოლოდ ერთი შესასვლელიდან, რადგან სხვა არჩევანი არ არის. და სრულდება იმ კართან, რომელიც გარეთ გამოდის.
ეს არის შენობა, რომელსაც აქვს გამოხატული საზღვრები და რომელიც ჩემი აზრით ნათელი სასრულის მაგალითია.
მეორეს მხრივ კი გუგენჰეიმის მუზეუმი, რომელიც ეწინააღმდეგება სასრულს და მისი უნიკალური სპირალური ფორმით უსასრულოს ხდის შენობას.
ზემოთ მოცემულ მოსაზრებებზე დაყრდნობით შევეცადე წარმომედგინა გუგენჰეიმის მსგავსი უსასრულო შნობა სხვა გარემოში კერძოდ კი ბარსელონაში პიკასოს მუზეუმის ნაცვლად. რატომ არ შეგვიძლია ეს არაჩვეულებრივი უსასრულობის აღმოჩენა, რომელიც ფრენკ ლოიდ რაიტმა გააკეთა ჩვენც გავიმეოროთ პიკასოს მუზეუმის ადგილას?
ამიტომ მინდა რამოდენიმე მოსაზრება წარმოგიდგინოთ, რომელიც შეიძლება დაგვეხმაროს იგივე ეფექტი მივიღოთ, რასაც გუგენჰეიმის მუზეუმი ან თუნდაც ზიგურატი გვაძლევს.

ჰორიზონტალური განვითარება

1929წ. ლე კორბუზიემ წარმოადგინა თავისი პირველი ხელოვნების მუზეუმი რომელსაც "უსასრულო მუზეუმი" ეწოდა. ეს გახლდათ კვადრატული სპირალი, რომელსაც შეეძლო საჭიროების შემთხვევაში

გაზრდა (იხ.სურ 19). იდეა გახლდათ შემდგომში გუგენჰეიმის მუზეუმის ძირითადი კონცეფცია.
ლე კორბუზიეს მრავალი იდეა უტოპიური იყო თუმცა იდეა უსასრულობი მუზეუმისა გახლდათ რაიტისთვის შთაგონების წყარო.
თუ ეს იდეა გუგენჰეიმისათვის შთაგონების წყაროდ იქცა მაშინ რატომ არ შეიძლება ჩვენც ვცადოთ ამ შემოთავაზების გამოყენება ბარსელონაში? პიკასოს მუზეუმი, რომელსაც არ გააჩნია ერთიანი ფასადი და შესდგება ხუთი სხვადასხვა შენობისაგან, რომლებსაც გარშემო ერთიანი სწორხაზოვანი ქუჩები აკრავთ. რას მივიღებთ მაშინ თუ ქუჩების სპირალურად დავახვევთ და უსასრულობისკენ მივმართავთ? იკარგება მასშტაბი სივრცე კი იმდენად გრანდიოზული ხდება, რომ მთელ ქალაქს იტევს და შეიძლება მას გიგანტური მუზეუმიც კი ვუწოდოთ. მუზეუმი თავად ქალაქი ხდება.(იხ.სურ. 20)

ვერტიკალური განვითარება

თუ კი ჩვენ შევეცდებით გუგენჰეიმის მუზეუმის სხვა ადგილას გადატანას და მისი უსასრულობის იდეის განვითარებას მაშინ მოგვიწევს მისი სიმაღლეში აღმართვა თუმცა, როდესაც თვალნათლად ვუყურებთ სურათს ჩნდება უამრავი კითხვები. ეს აღარ არის ზიგურატი აღარ ქმნის სამკუთხედს, რომელსაც უსასრულობისაკენ მივყავდით. ის დაემსგავსა ტორნადოს და ქალაქის დომინანტები: საგრადა ფამილია და ჟან ნუველის ტორე აგბარი, დაჩრდილა.(იხ.სურ. 21,22)
სადამდე უნდა განვითარდეს იმისათვის, რომ იგივე ეფექტი მივიღოთ უსასრულობისა რაც რაიტმა ასე მარტივად და გასაოცრად მიიღო?

დასკვნა

მინდა თავად იდეა განვიხილოთ, როგორ აისახება არქიტექტურაზე უსასრულობა.

ზოგადად ცნება უსასრულო მეტნაკლებად განსაზღვრულია მათემატიკაში, ფიზიკაში და ა.შ., მაგრამ როგორ შეგვიძლია განვსაზღვროთ ეს არქიტექტურაში?
არქიტექტურა მთლიანად აგებულია საზღვრებზე ლიმიტებზე და მისთვის ცნება უსასრულო წარმოუდგენელი და შეუსაბამოა.
უსასრულობას რამოდენიმე სტრუქტურული მნიშვნელობა და განმარტება აქვს: მარადისობა,დასასრულის საპირისპირო, არ აქვს ლიმიტი არ აქვს კიდე და ბოლოს რაღაც რომელსაც დროში არ აქვს დასასრული.
რომელი განმარტება შეიძლება იყოს ჩართული გუგენჰეიმის მუზეუმში ? ის ავტონომიური ობიექტია მას არ აქვს შეხება არცერთ მუზეუმთან ის არის მიზანმიმართული უსასრულობისაკენ.
თუ გუგენჰეიმს გადავიტანთ ბარსელონაში დაექვემდებარება თუ არა ის ქალაქის ურბანულ სტრუქტურას თუ ავტონომიურობასა და ინდივიდუალიზმს შეინარჩუნებს?
მე ვცდილობ გავარკვიო არის თუ არა შესაძლებელი სასრულობის ჩანაცვლება უსასრულობით?

მთავარი პრობლემა კი თავად ჩანაფიქრშივეა. პიკასოს მუზეუმი, რომელიც შიდა ეზოს გარშემოა მოწყობილი იმდენად სრულყოფილია და დასრულებული, რომ ამის შეცვლა აბსურდულია. ეს არის სივრცე, რომელსაც აქვს საზღვრები და გარს არტყავს კედლები, როგორც ციხესიმაგრეს. ხალხი თავად ქმნის საზღვრებს კედლებს მეტი კომფიდენციალურობისათვის და თუნდაც უსაფრთხოებისათვის. ჩვენ ჩვენით ვიზღუდავთ თავს და შესაბამისად არ ვაძლევთ საშუალებას თავისუფლებისა და უსასრულობისაკენ. პიკასოს მუზეუმიც ტიპიური დასრულებული შენობაა, რომლის განთავისუფლებაც მეტად უცნაურად ჟღერს.

როგორც ჩვენ ზემოთ ავღნიშნეთ გუგენჰეიმის მუზეუმის შთაგონების წყარო ზიგურატი გახლდათ
თავად ზიგურატის იდეის მნიშვნელობა ჩვენს კვლევაში , რადგან მისი თავდაპირველი ჩანაფიქრი ხომ მარადისობა და უსასრულობა გახლავთ. სწორედ ეს მარადიული შენობის იდეა ადასტურებს იყოს შუამავალი ადამიანსა და ღვთაებრივს შორის. ის გვაძევს შეგრძნებას იყოს ახლოს ზეცასთან მარადიულთან ღვთაებრივთან.და მასთან დამაკავშირებელი შეიძლება არქიტექტურული ნაგებობა გახდეს. მე მჯერა, რომ ფრენკ ლოიდ რაიტის გუგენჰეიმის მუზეუმი სწორედ ის მონუმენტია, რომელიც ღვთაებრივთან გვაკავშირებს და რომელსაც მარადიულობისაკენ მივყავართ. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ არქიტექტურა შეიძლება იყოს უსასრულო და მარადიული და მისი შექმნა მხოლოდ გენიალურ არქიტექტორებს შეუძლიათ.

გამოყენებული ლიტერატურა:

Foundation, S. G. (2009). The Guggenheim: Frank Lloyd Wright and making of the modern museum. New York: Guggenheim Museum Publications

Kaynar, I. Visibility, movement paths and preferences in open plan museums: An observational and descriptive study of the Ann Arbor Hands-on Museum. Retrieved from http://www.spacesyntax.tudelft.nl/media/longpapers2/ipekkaynar.pdf

Picasso, T. M. (2008). museupicasso.bcn.cat. 2012, from http://www.museupicasso.bcn.cat/en/

Psarra, S. Reading the library - architectural, Topological and Narrative Journeys in Borges Library of Babel. Retrieved from http://www.spacesyntax.tudelft.nl/media/longpapers2/sophiapsarra.pdf

Richard Cleary, N. L., Mina Marefat, Bruce Pfeiffer, Joseph Siry, Margo Stipe. (2009). Frank Loyd Wright - From Within Outward. New York.